დამტკიცებულია: სსიპ კოლეჯის ,,ერქვანი“-ს
დირექტორის ბრძანება N 41 ,, ო “ 25 აპრილი 2023 წ

საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების კოორდინატორი აპლიკანტების კომპენტენციის და უნარების შემოწმების მიზნით შემუშავებული შერჩევის წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია, საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების კოორდინატორი აპლიკანტის შეფასების ფორმის საფუძველზე. წესი არეგულირებს საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების კოორდინატორი აპლიკანტის (შემდგომში აპლიკანტი) შერჩევის პროცედურებს.

მუხლი 1. აპლიკანთთა შერჩევას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი შერჩევის კომისია, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულია შერჩევის კომისიის შექმნის იმავე ბრძანებთ.

მუხლი 2. შერჩევის კომისია უნდა შედგებოდეს შემდეგ წევრებსგან: პროექტის კოორდინატორები, იმის გათვალისწინებით თუ რამდენ სკოლაში ხდება აპლიკანტის შერჩევა, იმ საჯარო სკოლის დირექტორები რომელთა სკოლებშიც ხდება აპლიკანტთა შერჩევა, ADBS-ის გუნდის ერთი წარმომადგენელი და უნარების სააგენტოს ერთი წარმომადგენელი. კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 3. საჯარო სკოლების დირექტორები დაესწრებიან მხოლოდ მათდამი დაქვემდებარებულ საჯარო სკოლებში დარეგისტრირებულ აპლიკანტებთან გასაუბრებას.

მუხლი 4. თუ კომისიის რომელიმე წევრი საპატიო მიზეზის გამო ვერ დაესწრება შერჩევის პროცესს, აღნიშნულის შესახებ აცნობოს კოლეჯის დირექტორს და დირექტორის ბრძანებით ჩანაცვლდება სხვა პირით.

მუხლი 5. კომისია გასაუბრებას ატარებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შენობაში, სპეციალურად მომზადებულ ოთახში **ან** ონლაინ რეჟიმში.

მუხლი 6. ონლაინ რეჟიმში შერჩევის შეუფერხებლად ადმინისტრირებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება გამოყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტს.

მუხლი 7. თითოეულ აპლიკანტთა შერჩევის თარიღი/თარიღები მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 8. შერჩევის კომისია აპლიკანტთა შერჩევისას ხელმძღვანელობს უნარების სააგენტოს მიერ მოწოდებული საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების კოორდინატორი აპლიკანტის შეფასების ფორმის და აპლიკანტთა ქულების მთვლელი უწყისის შესაბამისად.

მუხლი 9. იმ ემთხვევაში თუ ერთიდაიმავე საჯარო სკოლაში რეგისტრირებული აპლიკანტების შეფასება ერთნაირია, აპლიკანტის შერჩევა ხორციელდება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

მუხლი 10. აპლიკანტთა შერჩევის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კომისიის მიერ დგება შესაბამისი შერჩევის ოქმი, სადაც დეტალურად აღწერილია აპლიკანტთა შერჩევის შედეგები. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 11. აპლიკანტთა შერჩევის შედეგების შესაბამისი ოქმის გამოცემიდან 2 სამუშაო დღის ვადაში გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ბრძანება, შერჩეულ აპლიკანტთა შესაბამის საჯარო სკოლებში პროფესიული განათლების განვითარების კოორდინატორებად დანიშვნის შესახებ.